სტუმრად - კვლავ დიდი ანგარიშით

მინსკი. ”დინამოს” სტადიონი. 19 ივლისი.

”დინამო” (მინსკი) – ”დინამო” (თბილისი) 1:4 (0:0).

მინსკი: ვერგეენკო, ბოროვსკი, კურნენინი, პავლოვი, გოლოვნია, პროკოპენკო, ბელოვი (მელნიკოვი), ალეინიკოვი (ზიგმანტოვიჩი), კობრენკოვი, გურინოვიჩი, ვასილევსკი.

თბილისი: მჭედლიძე, ანდღულაძე (ხინჩგაშვილი), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (თავაძე), კაკილაშვილი, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ს. ბელიაევი (მოსკოვი).

დუბლიორები - 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ. 2 ბურთი გაიტანა ცავამ, 2 - ჩელებაძემ (ერთი - პენალტით).

დიუსელდორფის ცნობილი მატჩის შემდეგ საკმაო დრომ განვლო. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში გაღებული დიდი ენერგია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური, როგორც ჩანს, გუნდმა აღიდგინა და თბილისის ”დინამომ” კვლავ დაიბრუნა სრული საბრძოლო ფორმა. აი, უკვე 8 მატჩია, რაც თბილისელები წაუგებლად იბრძვიან საკავშირო ჩემპიონატში: გუნდმა მხოლოდ 3 შეხვედრა დაამთავრა ფრედ და 5 მოიგო, ამასთან 3 - ზედიზედ. თბილისელებმა შინ ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ტრადიციულად ძნელი მეტოქე ”არარატი”, შემდეგ კი გასვლაზე ზედიზედ მოიპოვეს გამარჯვებები დიდი ანგარიშით (ორივეჯერ - 4:1).

...მინსკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მატჩის დაწყების წინ გულთბილი შეხვედრა მოუწყო ჩვენს გუნდს, თანაკლუბელებს მიართვეს ყვავილები, უსურვეს ახალი წარმატებები.

ორივე გუნდს აკლდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთმაშე, კერძოდ, თბილისელთა შემადგენლობაში არ იყო მეკარე გაბელია (მას მცირე ტრავმა აქვს). გუნდის ხელმძღვანელობამ კარის დაცვა მიანდო მჭედლიძეს, რომელმაც კარგად გაართვა თავი საქმეს და საიმედოდ ითამაშა მინსკელებთან - ოსტატურად უვნებელყო გურინოვიჩის, ვასილევსკის, კობრენკოვის მიერ შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტი.

პირველ ტაიმში, მიუხედავად ორივე მხარის მრავალი ცდისა, ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ, 57-ე წუთზე, მინსკელთა მცველმა ბელოვმა ბურთი თავის მეკარეს მიაწოდა, ვერგეენკო წამით შეყოვნდა, ამ მომენტით მშვენივრად ისარგებლა შენგელიამ და გახსნა ანგარიში.

მცირე ხანს შემდეგ მინდვრის სიღრმიდან რეიდი წამოიწყო თავაძემ, მეტოქის საჯარიმო მოედნის ხაზთან ბურთი ზუსტად გადააწოდა ყიფიანს, რომლის დარტყმა უნაკლო იყო - 2:0 (ეს ყიფიანის მერვე გოლია მიმდინარე ჩემპიონატში).

თბილისელები განაგრძობდნენ კომბინაციურ, აქტიურ თამაშს. მასპინძელთა მხარეს წარმოებული მორიგი იერიშისას კაკილაშვილმა კარგად ისარგებლა ხელსაყრელი მომენტით და მესამედ აიღო კარი.

მასპინძლები ახლა უკვე პრესტიჟის გოლის გატანასღა ფიქრობდნენ და მთელი გუნდით შეუტიეს თბილისის ”დინამოს” კარს. როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, შეიქმნა მოულოდნელი კონტრშეტევის ხელსაყრელი მომენტი და აი, თბილისელთა ბომბარდირმა შენგელიამ ეს შანსიც ბრწყინვალედ გამოიყენა - მიიღო რა ზუსტი გადაცემა, პირისპირ გავიდა ვერგეენკოსთან და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი - 4:0 (ეს შენგელიას მე-11 გოლია

მიმდინარე ჩემპიონატში).

ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა მინსკელებმა შეძლეს მატჩის მიწურულს: მსაჯმა თბილისელთა კარში დანიშნა პენალტი, დარტყმა ზუსტად შეასრულა პროკოპენკომ.

ჩვენს გუნდს ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი 23 ივლისს აქვს ლენინგრადში.

"ლელო", 21 ივლისი 1981 წ.